# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლში.

—

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

—

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადი — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

—

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

—

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელის-მოწერა 1877 წლისა

მეთორმეტე წელიწადი გაზეთის არსებობისა

### მომავალ 1877 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც წარსულს წლებში გამოდიოდა.

მომავალი წლიდამ „დროების“ რედაქციის შრომაში უფრო დაახლოებულ მონაწილეობასა და შრომას მიიღებს ორი ჩვენი ნიჭიერი მწერალი-პუბლიცისტი: აკაკი წერეთელი და ნიკ. ნიკოლაძე.

ამათი და აგრეთვე სხვა თანამშრომლების დახმარებით, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ, რამდენათაც რედაქციისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მოგვცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, სასარგებლო და საჭირო გავხადოთ ჩვენი გაზეთი მკითხველი საზოგადოებისათვის.

### ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში (ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში) და აგრეთვე სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნილება ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: *Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Дроэба.“*

**სხვა ქალაქებში** „დროებაზე“ ხელის-მოწერა შემდეგ პირებთან შეიძლება:

**ქუთაისში** — სვ. მესხთან (სილაზე), **ფოთში** — თ. ანტ. ლაზ. ნაკაშიძესთან და ელ. ბაბალოვთან, **ახალ-სენაკს** — ნიკ. დგებუაძესთან **ზუგდიდს** — თ. ტარ. ალექ. დადიანთან, **ოზურგეთს** — ანტ. ჯაყელთან, **ყვირილაში** — მ. დავ. ღამბაშიძესთან, **გორს** — ალალო თუთაევთან, **სიღნაღს** — იოსებ სულხანოვთან და **თელავს** — თ. ლევან ჯანდიერთან.

| **გაზეთის ფასი** — გაგზავნით და გაუგზავნელად | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| წელიწადში . . . . . . . . . . . . . . | 8 | „ |
| ნახევარ წელიწადში . . . . . . . . . . . . | 4 და | 50 |
| სამის თვისა . . . . . . . . . . . . . . | 2 და | 50 |
| ერთის თვისა . . . . . . . . . . . . . . | 1 — | „ |

**აქვე საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ გაზეთი ნისიათ არავის არ გაეგზავნება გარდა იმ პირებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების“ აგენტები იკისრებენ.**

ვთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი ადრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით იყოს დაწერილი და ყოველთვის, როცა ადრესს გამოიცვლიან, დროზე შეატყობინონ ეს რედაქციას.

გამომცემელი **სტ. მელიქიშვილი**

რედაქტორი **ს. მესხი.**

## საქართველო

### დღიური

—

სახელმწიფო რჩევას განუხილავს სამხედრო მინისტრისაგან შედგენილი პროექტი შესახებ მთელი სახელმწიფოდამ ხალხის საომრად გაწვევისა ომიანობის დროსა (**государственное ополченіе**). სახელმწიფო რჩევას ეს პროექტი წარუდგენია ხელმწიფე იმპერატორისათვის, რომელსაც იმის დამტკიცება უნებებია გასულ ოქტომბრის 30-ს.

***

უმაღლესად დამტკიცდა აგრეთვე ფინანსთ მინისტრის წარდგენილობა, რომ მომავალი წლიდამ სამზღვარ გარეთიდამ შემოტანილ საქონელზე ბაჟის ფული ოქროს მანეთებით უნდა გადახდეს ვაჭრებსაო.

***

„ხალხთა-შორის ტელეგრაფის საზოგადოების“ (კრაევსკის) თფილისელმა აგენტმა უფ. დინგელშტეტმა დაიწყო აქ ამ თვის 10-დამ ცალკე დეპეშების გამოცემა; დეპეშები პატარა ნაჭერ ქაღალდზე იბეჭდება, თითო-ორ-ოლა და ხან სამი დეპეშაც ერთს თაბახზე, და პატარა ბიჭებს დააქვთ ქუჩა-ქუჩა გასასყიდლად; თითო დეპეშა 5 კაპეიკად ღირს. თვეში — 3 მანეთად.

***

„თფილისის მოამბეში“ დაბეჭდილია ფოთი-თფილისის რკინის გზის გამგებელის ინჟინერის ბუნგეს წიგნი, რომელშიაც ეს იწერება, რომ ქუთაისის სტანციიდამ ქალაქ ქუთაისამდინ რკინის გზის შტოზე მუშაობა არ შაგვიჩერებიაო.

***

კახეთიდამ გვწერენ, რომ სოფ. ვაქირში ცისკარზე მიმავალს ბლაღოჩინს ქვა დაარტყეს მხარშიო; თავში ემიზნათ, მხარში მოხვდაო; ღრიალებდა საზარელი ხმით, და მღვდელს აბრალებდა.

ამავე სოფელში ამ მოკლე ხანში ერთი თოფით მკვდარი კაცი იპოვეს, შორიდამ მოტანილიო.

კახეთიდამვე გვწერენ, რომ ამ ორი დღის წინათ სამი პატარა მწყემსი საქონელს მირეკდნენ ალაზანზედო, და ამ დროს ერთი ამათგანი დაიღრჩვაო.

### „დროების“ კორრესპონდენცია

**ივრის ხეობიდამ**, 9 გიორგობისთვეს. (დასასრული). ეს რომ ასეა, და თავიანთ მოვალეობას ერიდებიან, აბა, მაშ ამის გარეშე რაღა მოვთხოვოთ ჩვენ ღვდლებს? რა შემწეობას გაგვიწევენ ან სულისა და ან ხორცის გამოსადეგს? ამაზედ სულ უკაცრავად არიან. ესენი ისეთი ბატონი მწყემსები არიან, რომ სულ იმასა ცდილობენ არაფერი შრომა არ გასწიონ ჩვენთვის და ჩვენ კი გაგვკრიჭონ.

საქმეს მოგახსენებ, რომ უფრო ბეჯითი იყოს ჩემი სიტყვა. ლხინიდგან დავიწყოთ და ჭირამდინ მივიდეთ. მაგრამ ამ ღვდლების მიზეზით ლხინიც ჭირათა გვაქვს გადაქცეული,

## ბიბლიოგრაფია

„დედა ენა“ ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შკოლებისათვის. შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან. გამოცემა პირველი, სურათებით. ფასი ექვსი შაური. თფილისი, 1876.

—

(დასასრული)

„ანბანის“ შემდეგ უფ. გოგებაშვილი ბავშვებს პირ-და-პირ „პირველ საკითხავ წიგნს“ აძლევს ხელში და ამიტომაც ჩვენც იმის გარჩევას შეუდგეთ.

უ. გოგებაშვილი თავის წინასიტყვაობაში, აი რას ამბობს ამ „პირველ საკითხავ წიგნზე“:

„რაც შეეხება „პირველ საკითხავ წიგნს“ ჩვენა ვცდილობდით ერთის მხრით იმასა, რომ მას ჰქონოდა, რაც კი შეიძლება, მომეტებული მიმზიდველი ძალა ბავშვებისთვის, რომ იგი ყოფილიყო მათთვის სავსე ინტერესითა და მეორეს მხრით — მის შინაარსს წარმოედგინა არა ღარიბი მასალა ბავშვის გონების გახსნისათვის და განვითარებისათვის, ერთის სიტყვით ჩვენ ვცდილობდით შეგვეერთებინა ერთად სასიამოვნო სასარგებლოსთანა“.

თანახმად ამ სიტყვებისა „პირველ საკითხავ წიგნში“ ავტორს მართლა მოჰყავს იმდენი მასალა, რომ კარგსა და გამოცდილს მასწავლებელს იმათი შემწეობით ისე შეუძლიან ასხვა და სხვა ფეროს გაკვეთილები, რომ შეგირდებს მის დღეში არ მოსწყინდებათ, არ მობეზრდებათ მეცადინეობა.

აქვე საჭიროთ ვრაცხთ ვსთქვათ, რომ, გარდა იმისა, რომ უფ. გოგებაშვილმა ასე სრული მასალებიანი სახელმძღვანელო წიგნი შეგვიდგინა სახალხო შკოლებისათვის, იმან ამ წიგნით ჩვენს მწივნობრობასაც ის სარგებლობა მოუტანა, რომ ხალხური ბევრი გამოთქმები, მჯევრმეტყველური და მოსწრებული ლაპარაკი, არაკები, ლექსები და სხვ. სამუდამოდ დაგვიბეჭდა და მოგვცა. — ამ გამოცემით უფ. გოგებაშვილმა რამდენიმედ მაინც გადაგვარჩინა უ. უმიკაშვილის, კიდევ ერთი ოცი წლის განმავალობაში კრუხობას....

ერთის სიტყვით, ჩემზე უფრო სასტიკი რეცენზენტი ამ „პირველ საკითხავ წიგნზე“ იტყოდა, რომ ის ამ მხრით უფრო შესანიშნავია, ვინემც როგორც სამშობლო ენის შესასწავლებელი სახელმძღვანელო წიგნი.

სწორეთ, რომ აუარებელი და ზოგი ხელ-უხლები მასალებია, ამ პატარა წიგნში, მაგრამ საქმე იმაშია — თუ რამდენათ აძლევენ ისინი პასუხს იმ კითხვებს და მოსაზრებებს, რომლებზედაც ჩვენ წინეთ ვლაპარაკობდით.

—

თუ მკითხველს ჩვენი ნალაპარაკევი ახსოვს, ჩვენ ვამბობდით, რომ ექვსისა და შვიდი წლის ბავშვს იმისთანა არაფერი არ უნდა წაუკითხო, უამბო ან აუხსნა, რაც მისს გონება-გახსნილობას გარდაამეტებს, რაზედაც, სანამდისინ ნაამბობს ან წაკითხულს გაიგებდეს, მას ჩაფიქრება დასჭირდეს. სად შეიძლება ამისთანა ყმაწვილი რასმეზე ცოტა ხნით მაინც შეჩერდეს ან ჩაფიქრდეს, რომლისაც ჭკუა-გონება და ფიქრი მუდამ ტრიალებს და გარდადის ერთ საგნიდამ მეორეზე. ამისთანა ბავშვს რომ — ჩაფიქრდიო უთხრა და ძალა დაატანო, ის მაშინ სრულებით აირევა და ვერაფერს ვერ გაიგებს. მაგრამ უფ. გოგებაშვილს ჰგონია, რომ კარგი და გამოცდილი მასწავლებელი, იმის „პირველი საკითხავი წიგნიდამ“ ყველა ძნელ-გასაგებს მასალებს იმნაირად შეამკობს და განმარტავს, რომ ბავშვს იმისი გაგება არ გაუჭირდება. — არა, არა, თქვენი ჭირიმე! მასწავლებლისაგან რომელიმე სტატიის შემკობას და განმარტებას ამისთანა მცირე წლოვანი შეგირდებისათვის, აგვაშორე, აგვაშორე განსაკუთრებით იმისთანა მასწავლებლისაგან, როგორნიც უმეტესს ნაწილს ჩვენს სახალხო შკოლებსა ჰყავს. დრო და ადგილი რომ ნებას მაძლევდნენ, მოვიყვანდი რამდენიმე ნიმუშს ამისთანა მასწავლებლისაგან შეგირდებისათვის ზოგიერთ კითხვის ახსნას. მაგრამ შემდეგ იყოს.

ასეც რომ არ ვიყოთ ღარიბნი

თორემ ჭირი ხომ ჭირია და ჭირი. აი, მოისმინე, შენიჭირიმე:

მოდის საყდარში დაგლეჯილი და მშიერი მეფე-პატარძალი. შესთხოვენ ღვდელს ჯვარი დაგვწერეო და ხუთ მანეთს აძლევენ გასამრჯელოს; ღვდელი თუმანს სთხოვს; დაიწყობა ვაჭრობა. ბევრი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ ღვდელი შვიდ მანეთზე ძირს აღარ ჩამოდის. რამდენი ცრემლი ჩამოსცვივა პატარძალსა, რამდენი სირბილი და თავში-ცემა მოუხდება დაგლეჯილ და დალრეჯილ მეფეს, რომ ის 5 მანეთი, ვაჭრისაგან რომ მამა-სისხლად აუღია, შვიდად შეასრულოს, ისევ იმ ვაჭრის წყალობით.

ახლა ისიც მოხდება ხოლმე, მეტადრე აღებილამეებში, რომა იმ შვიდ მანეთს ხელ-ახლავ თუმანს გაახდევინებს ღვდელი, რა არის — ფულის ძებნაში რომ დაუგვიანდა, დრო გადაუვიდაო, ჯვარის-წერა აღარ იქნებაო. თინია, რაღა, შენი ჭირიმე.

ეს ხომ ლხინიან-ჭირში, ბატონო, ახლა მართალ ჭირში რაღა მოგახსენო? მოგვიკვდება ვინმე,—ღმერთმა შენ კი გაშოროს ეს უბედურება. ახლა ეს ხომ ჭირია, მაგრამ კიდევ გვიმატებენ ჭირს. გვაქვს, თუ არა გვაქვს—უთუოდ ცხვარი უნდა დავკლად, თუნდაც რომ ორიოდე თვის ბავშვი იყოს მიცვალებული. რომ ვკითხოთ უთუოთ ცხვარი რათ უნდაო, მითომ რიგიანი მიზეზი გვითხრას თუ?—აი, ღმერთი არ გამიწყრეს. ისე უნდაო, ადათიაო. მაგრამ ბოლოს კი გავიგებთ ხოლმე მიზეზს. ამ ცხვრის ბეჭი, ბატონო, თავის წინა ფეხით ღვდლის კერძი გახლავს და თურმე ეს ადათიც იმიტომ ყოფილა საჭირო,—ერთ დღეს იმის სახლობას გამოჰკვებავს; ახლა იმას დოქით ღვინო და პურიც მიჰყვება და გამოვიდა მთელი სადილ-ვახშამი ხან-და-ხან ორიოდე დღისაც. საწყალ კაცს ამ სიკვდილს მარტო ფულად რატო ორ თუმნამდი არ დაუსმენ და ხარჯიც კიდევ სხვაა; და თუ ცოტა სუკი აქვს რამე, იმას რატომ ხუთი-ექვსი თუმანიც არ უჯდება.

ხშირად ეს ჭამა-სმა, ქელეხს რომ ეტყვიან, — სადილ-უკანაც მოხდება ხოლმე. აბა, შენი ჭირიმე, გამძღარ კუჭზედ ეს ხარჯი სულ ტყუილ-უბრალოდ არ არის; ამით ხომ მარტო პატრონი იღუპება!

განა ვერ დაარიგებს ღვდელი, რომ მკვდრის დამარხვა უსადილოთაც შეიძლება და რომა უქელეხოდ არც მკვდარს დაუმძიმდება სული და არც პატრონს? მაგრამ ასეთ ჭკუას რათ ასწავლიან თავის მრევლს. ნეტა მარტო მაინც წავიდეს, კიდევ ჯანი გავარდეს. თან მისდევენ იმას მთავარი, დიაკვნები, ზარის მრეკავი, სტაროსტა და ამათაც კიდევ ზოგს შვილი მიჰყავს და ზოგს ძმა, ან ვინმე, რომ შინ გამოატანონ რამე ქელეხიდან... სწორედ სახლის აკლებაა ხოლმე. უნდა უყუროთ, როგორ იყლაპება ღვდელი ამ სადილის უკან ქელეხზედ. აბა ათვალიერეთ რა ხარბად ალაგებს. თეფშზედ ხორცის ნაჭრებს თავს კი მოუდგამს თეფშსა და ასე ეგონება კაცს ერთი წლის მშიერიაო. მაგრამ ეტყობა კი, რომ სულ ძალათა სჭამს, თავს კი არ ანებებს და ვერც შეუჭამია; მერე სულ შესაჭმელად ხომ არ აულია. ბევრი იმიტომ აილო, რომ ბევრი დარჩენოდა და იმისთვის ცალკე აღებული კერძისთვის მიემატებინათ.

გათავდა ქელეხი. აბა უყურეთ როგორი გამოდის იქიდან? ენა დაჩლუნგებული და თავ-ფეხიანათ დადუნებული. მოდი და ამის მნახველმა იმისაგან სწავლა და დარიგება მოითხოვოს.

მაგრამ მიცვალებულისათვის წირვის გადახდა უფრო ოსტატურია. ვსთქვათ სახლობას ხუთი მკვდარი ჰყავს და ერთად უხდის წირვას. უთუოდ ხუთი ცხვარი უნდა დაჰკლას: ერთი ცხვრით ხუთივეს სული არ ცხონდებაო, ასე მოგახსენებს ჩვენი ღვდელი. მაგრამ ხუთივე ცხვრის თითო არშიას რომ წაიღებენ, ხუთ დოქს ღვინოს და იმის შესაფერს სხვა შესატანებელსაც რომ გააყოლებენ ხოლმე, მაშინ კი გავიგებთ, რომ ხუთი ცხვარი მკვდრისთვის კი არა ყოფილა საჭირო, ჩვენი ცოცხალი ღვდლისთვის ყოფილა.

შეძლება რომ გვქონდეს, ბატონო, ამაზედ ვინ იჩივლებს, მაშინ კიდევ ჯანი გაჰვარდეს ამ უზომო ხარჯს; მაგრამ რომ არა გაქვს და სულ რომ ვალით ვიხდით ამას, ის არის ჩვენი სამწუხარო და დამღუპავი. და ბევრი ღვთისნიერი ღვდელი გამოგვიჩნდა, რომ ჩაგვაგონოს, ერთი, რა შვებას მისცემს ჩვენ მკვდარს ჩვენი ასე დაქცევა; იმის სულს როგორ დაეხმარება ჩვენგან ურიის ვალით ცხვრების და ღვინის ყიდვა, რომ რა არის გამძღარ ხალხს სულ ყელთამდის ამოავადინოთო.

ამას გარდა სხვა საქრისტიანო წესის აღსრულებისთვისაც, თუ კი დავეჭირდა ვისმე, ფულსა და პატივსაც ამ თავით იღებენ ჩვენგან, და თუ ამ თავით აღების იმედი არა აქვსთ, იქნება ადგილიდგან არცკი დაიძრან ხოლმე.

ახლა იქნება იფიქრო, რომ სხვა აღარა ენდომებათ-რა ჩვენგან ჩვენ ღვდლებს. არა, ბატონო, ასე არ გახლავს. ამეებს გარდა მოსავლის დროს რაღაცა განწესებას მოიგონებენ ხოლმე და ახლა იმითი მოგვადგებიან. რა ვიცი, შენი ჭირიმე, თეოფილაქტი არქიერის განწესება არისო. ამით გვთხოვენ წელიწადში ერთ კოდ პურს, ნახევარ კოდ ქერს, ერთ თუნგ ღვინოს, ხუთ კომლზედ ერთ ცხვარს და ამ აბაზსაც ფულად (კომლზედ). გაჩნდება თუ არა კალო და რთველი, დაიწყებენ ღვდლები ვაჭარ მოვალეებივით იასაულებით სიარულს კარ-და-კარ და როგორც უჯობთ, ისე გვართმევენ. ბევრჯელ მოხდება, რომა არა აქვს-რა გლეხს, რომ ღვდელს გადაუხადოს ის განწესებული;—როგორა ჰფიქრობ, რასა შერება მაშინ ჩვენი სულიერი მამა? ეტყვის განა თავის სულიერ შვილებს: მერე მომეცი, როცა გქონდესო, და თუ არ გექნება, ღმერთმა შეგარგოსო, მე მაგით ბევრი არ დამაკლდებაო? შესწუხდება განა თავის მრევლის ასე უქონლობაზედ? არა, არც შესწუხდება და არც ბევრს დაფიქრდება; მაშ იასაულები რომ დაჰყავს, რათ უნდა? მაშინვე გირაოთი არბევს, რაც მოხვდება მიაქვს, მაგრამ რა მოხვდება, შენი ჭირიმე, საწყალი გატყავებული გლეხის სახლში? აი რა: დაფლეთილი ფალასი, დანჯღრეული ქვაბი, ათასგან გამომწვარი საბნის ძველა და ამისთანა მჩვრები. ასე მოგახსენებენ, ერთ მღვდელს ორმოციოდ ამისთანა გირაო ექნებაო წაღებული თავის მრევლისგან. ღმერთმა მშვიდობა მისცეს, კარგი რამ ჩემი მოძღვარი არ არის.... აბა, შენი ჭირიმე, რა არის ეს, თუ არა მწყემსისგან თავის სამწყსოს შეჭმა, გატყავება? აბა ამისთანა მოძღვარს რა მოძღვრობა შეუძლიან, რა პატრონობას მოინდომებს, რა მამობას გაუწევს მრევლს!

მართალია ამ ხეობაზედ რამდენიმე ღვდელიც მოიპოვება ღვთისნიერი და პატიოსანი; მაგრამ ამ რამდენიმეთი საქმე როდის გარიგებულა.

ახლა, შენი ჭირიმე, რომ არ იფიქროთ, ვითომ ეს ღვდლები საწყალი ხალხია და მეტი ჩარა არა აქვსთ, ასე უნდა მოიქცნენ, რომ მშივრები არ დაიხოცნენ, ამიტომ მოგახსენებ იმათ შემოსავალს.

მე რომელ მღვდლებზედაც მოგახსენებ, იმათ თითოს ორას კომლამდისინა ჰყავს მრევლი. წელიწადში თითო მღვდელი სულ ცოტამ ოცს მაინც დასწერს ჯვარს და ას ოცში ოც თუმანს მაინც აიღებს. აქედამ იმას თორმეტი თუმანი ერგება, რვა თუმანი კი დიაკვნებისა და მთავრისაა. ამას გარდა ათი თუმანი სახელმწიფო ჯამაგირი აქვს; ახლა სამკვდროსა და სალხინოს აიღებს ფულად და ხორაგათ სულ რომ ცოტა ვსთქვა, ათიოდე თუმნისას, (თავის წილად)—ეს სულ ოც-და-თორმეტი თუმანი, (სულ ცოტას ვამბობ) და თეოფილაქტის განწესებულს რომ თავი დაანებოს, არა უშავს-რა, ამიტომ რომა ამ შემოსავლთან იმასა აქვს მამა-პაპისგან გაწყობილი სახლ-კარი, ვენახები, საქონელი და ხვნა-თესვა და ცხვრისა და ძროხის ჯოგები, ზოგსაც ვაჭრული აღებ-მიცემობა.

ამისთანა გამართული ღვდლებისთვის, შენი ჭირიმე, ადვილი დასათმობი არ იქნება გამძღარ კუჭზედ ქელეხების ჭამა, ხუთი მკვდრის მოხსენებაზედ ერთის მაგიერად ხუთი ცხვრის დაკვლევინება, და არც იმითი დაუშავდებათ რამე, რომ მშიერ-მიშველ მეფე-პატარძალსაც იმდენს ახდევინებდნენ ჯვარის საწერს, რამდენის ღონეც აქვსთ.

ჰაი, ბიჩა, მთიულებმა როგორ გვაჯობეს, შენი ჭირიმე, ნაქებ ივრელებს! იმათაც კი უფიქრნიათ ზოგიერთ ტყუილ-უბრალო ხარჯზედა და კიდეც გადაუწყვეტიათ, რომ აღარ იყოსო. შენ გაზეთში წავიკითხე ეს ამბავი, შენი ჭირიმე, მაგრამ იმათ, ეტყობა, პატრონი ჰყოლიათ ვინმე....

აი, ბატონო, ამისთანა სულის მამები გვყავანან. მე ჯერ ცოტაც

---

სახალხო შკოლების მასწავლებლებით, გან არა საჭიროა, მასწავლებლის მხრით, რომელიმე სტატიის ახსნა და განმარტება? განა გასაჭირი იყო ამ მასალებიდამ იმისთანების ამორჩევა, რომლების გაგება ბავშვებს არ გაუჭირდებოდათ?

ალბათ ყველა მასწავლებელს შეუნიშნავს იმ ბავშვის სიხარული და აღტაცება, რომელსაც წაკითხული, სხვის დაუხმარებლათ, გაუგია და ეპირება წაკითხულს თავის სიტყვით მიჰყოლას. აქ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ბავშვის გონებას და თვით მიმხვდომობას ძალა არ ეტანება და ამის გამო უფრო ხალისიანად და მოწადინეთ სწავლობს, რადგან ესმის ის რასაც კითხულობს, სხვის ახსნაში და განმარტებაში არ საჭიროებს. პირველ შემთხვევაში კი, როდესაც ბავშვი წაკითხულს ვერ გებულობს და იმედი კი აქვს, რომ მასწავლებელი ან სხვა ვინმე ამიხსნისო, ის ფუჭდება სხვის შემხედვარე, ზარმაცობს. აქედამვე წარმოსდგება ის ენება, რომ ამისთანა მცირე-წლოვანობიდამვე სხვის დახმარებას შეჩვეული ბავშვი, დიდობაშიაც, უფროს კლასებშიაც თავისთვის კი არ სწავლობს, არამედ მასწავლებლისათვის,— ამხანაკს ავახსნევინებ და, როგორც იქნება, მივუგებ მასწავლებელსაო....

—

ერთი ამ მხრით არის უფ. გოგებაშვილის „პირველ საკითხავი წიგნი“ სათაკილო და ამის დასამტკიცებლათ მისი პირველისავე გვერდიდამ მოვიყვანოთ ერთი მაგალითი, იმისთანა მაგალითი, რომლების გვარ სტატიებს ავტორი ძრიელ დიდს მნიშვნელობას აძლევს.

გვერ. მე 14: „ბავშვის სათვალეები“:

„მამილო, მეც მიყიდე სათვალეებიო?— რათ გინდა შვილოვო?—მეც შენსავით წიგნი უნდა ვიკითხოვო!—კარგიო, უთხრა მამამ და უყიდა ანბანი.“

ეს ფილოსოფიური მამის პასუხი, არამც თუ ბავშვისათვის, დიდისათვისაც გაუგებარია: ბავშვი ხედავს, რომ მამა სათვალეების შემწეობით წიგნს ჰკითხულობს და სთხოვს, — სათვალეები მეც მიყიდეო, რომ შენსავით წავიკითხოვო და მამა-კი, სათვალეების მაგიერ, (გოგებაშვილის) ანბანს აძლევს ხელში—ალბათ ამ სიტყვებით:—აი, საშენო საკითხავი წიგნიო! დარწმუნებული ვარ, რომ ცოცხალი და ცოტათი მაინც გონება-გახსნილი ყმაწვილი, ამისთანა დამცინებელს მამას, როდესაც ეს უკანასკნელი შვილს ანბანს მიუტანს, ეს მაინც თავისას არ მოიშლის და კითხამს მამას: ამ წიგნს ეხლა როგორ შევხედოვო?

ეს „არაკი“, თუ არ ვსცდები, ნემეცურიდამ არის გადმოღებული და პირ-და-პირ ხელ-უხლებლათ. მაგრამ როგორც ნემეცურს ენაზე, ისე ჩვენებურზედაც უაზრო გამოდის. აქ მამის პასუხში, ან მთელს არაკში, მახვილობა არ არის. მახვილობის მაგიერ, მამას ერთობ გულრწფელური პასუხი მოსდის, მაგრამ, თუ მაინცა-და-მაინც მახვილობას ხედავთ იმაში, მაშინ გეთანხმებით, თუმც გეტყვით კია, რომ ის ერთობ ნემეცური, მძიმე მახვილობაა.

ამ კატეგორიას ეკუთვნიან ბევრი ანდაზები, აუარებელი გამოცანები, ჩვენებური მჯევრ-მეტყველური გამოთქმები, ლექსები და საზოგადოთ ბევრი ხალხური შაირები, რომელთაც ამ პირველ საკითხავ წიგნში ერთობ დიდი ადგილი მოუკავებიათ.

მაგრამ ეს ნაკლულევანება „დედა ენისა“ არაფრად არ ჩავარდება იმ ნაკლულევანებასთან, რომელზედაც ჩვენ ეხლა გვინდა მოვილაპარაკოთ.

—

წინეთ, როდესაც უ. გოგებაშვილის „საყმაწვილო კონა“ გაარჩიეს, რეცენზენტმა, თუ არ დამვიწყებია, სხვათა შორის, შენიშნა ავტორს, რომ ის ამ წიგნში პირუტყვებს და, საზოგადოთ, ცხოველთ სამეფოს „წევრებს“ ბევრს იმისანა თვისებებს აწერს, რომელნიც არ ეთანხმებიან არც მათს ბუნებასა და არც დანიშნულებას. ეს

პოგახსენე. უნდა მიჭრიდეს, შენი ჭ...იმე, კალამი, რომ უფრო დალაგებით მოგახსენო ამათი საქმე. ვაი ბეჩავ, ჩემო თავო, რომ შვიდი შკოლა არ გამიელია! მაშინ უფრო რა თამამად გელაპარაკებოდი.... ღვდლები რომ ღვთისნიერები გვყვანდეს, იმისთანები, როგორებიც თითონ უფალმა დაგვისახა თავის ცხოვრებით, აი თუნდა ამ ჩვენი მეზობლები ნემენცებისთანა, მაშინ ჩვენ ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა. მაგრამ ჩვენთვის ესეც არ არის, დაილოცა იმისი სამართალი. მახლას, შენი ჭირიმე ცუდ საათში ვართ გაჩენილი.... ნუ მიწყენ, შენიჭირიმე, ამდენ ლაყბობას. ჭ ი რ ი გ ა მ ქ ლ ა ვ ნ ე ბ უ ლ ი ს ჯ ო ბ ი ა ო....

ივრელი გლეხი ნინია

ივრის ხეობა

## გორიდამ ოსეთში

(მგზავრის შენიშნვები)

ამ მკათათვის 11-ს კვირა დილით, საათის შვიდზე შევსხედით ცხენებზე და გავემგზავრეთ ოსეთისკენ. დღე ცხელი და მოწმენდილი იყო. ქალაქს გავცილდით თუ არა, პირველად წარ-...გვიდგა თვალ წინ ორმოცამდე ...რმები ყორნისელ ოსებისა, რომელ-...აც ხარბათ დაედევათ თავიანთ ნა-...რმოები სხვა და სხვა გვარი ხის ...სალა—ფიცრები, კოჭები, ბოძები, ...უხის ხეები და სხვა. რადგან ამათი ...-ტყე, და მეტადრე მუხისა, ნაქებია, ...ისთვის რამოდენიც იყოს ძრიელ ...ქიდება, ასე რო გორელები თითქ-...ს შუადღემდე დატაცებენ ხოლმე.

დავადექით პარალეთის ჭალას, რომელიც აქაური გლეხების სიტყვით სწორეთ ის ჭალაა, რომელიც ბეჟან-მანიჟანიანის ლექსშია მოხსენებული, სადაც ბეჟანმა გაინადირა და ის უშველებელი ტახი მოკლა.

პარალეთის ჭალა ამ ჟამად წარმოადგენს აქა-იქ მხოლოდ ღვიის ბუჩქებს, მარცხნივ ახლად აყრილ პატარა ტყეს და ზოგან მომცდარს ყანებს. ეს ერთ ნაირი სურათი ცოტა არ იყოს გულს უეწრობს კაცს, ვიდრე სოფ. შერთულს არ მოატანს (თოთხმეტი ვერსზეა გორიდამ); საზოგადოდ ამ სოფლამდე გზა კარგია, მხოლოდ ორ ალაგას ბოგირები სრულებით მოშლილა და უყურადღებოთ ყრია. შერთულს მიუღია ეს სახელი იქიდგან, რადგანაც ამ სოფელთან შეერთვიან დიდი და პატარა ლიახვი.

წელს პურის მოსავალს აქ ძრიელ ემდურიან, ასე რო დღიურზე მხოლოდ ოთხ კოდს გამოელიან. ზვარიანი სიმიდი აქ არ მოდის. ვენახებსაც ცუდათ უსხიათ, არც ძირის მოსავალი რიგიანი, მხოლოდ ხეხილს სამყოფათ ასხია. აქ ბევრი და კარგი ხილი მოდის. აქაურს კაცს თითქმის გამოულევლათ აქვს ფაცრის ახალი თევზი, რომელსაც პატარა ლიახვში იჭერენ. ახალი თევზის პატივისცემისთვის მცირედი დავისვენეთ ვენახში, ხილი ვიხილეთ, ჩრდილი ვიჩრდილეთ, მშვენიერ ციმორებს შევექცით და ამ უგემრიელესი თევზის გემო თან წავიღეთ.

პატარა ლიახვს გავცილდით თუ არა, სოფ. მეღვრეკისამდე ისეთ ნაირი ყანები წარმოგვიდგა, რომ მკათაც არა ღირს; თუმცა ამ ალაგებში ცარიელი ლამის ნიადაგია, მაგრამ უფრო იმ გაზაფხულის ყინვებს აბრალებენ, რომელთაც ასე დააზარალეს თითქმის მთელი ქართლი; ამ სოფელში კალოები გამართული ჰქონდათ. აქ სიმიდის იმედი კარგი აქვთ. ამ გვარად მავალნი თორმეტ საათზე ცხინვალში ჩამოვხტით.

ცხინვალი არც კიტრია და არც ნესვი, ე. ი. არც სოფელია, არც ქალაქი. მაგრამ არა, ამ ჟამად უფრო ოსეთის სატახტო ქალაქად ჩაითვლება. ეს სოფელი „დიდ მოურავიანის“ ლექსში მეოთხე მუხლში ამ გვარად არის მოხსენებული:

„ქრცხინვალს იდგა მეფე შვებით, მას გვერდს ახლდა მოურავი,
„იშვებდენ და იხარებდენ, ქარი უქრის მათ არავი,
„მტერი ყოვლგნით შეაშინა, ომის იყვნეს არ მზარავი
„ავი ენა მათაც გაჰყრის, ქვეყნისათვის ეს არს ავი.

ცხინვალი მდებარეობს დიდი ლიახვის კიდეზე, რომელზედაც კარგი მაღალი და მკვიდრი ხიდია აშენებული. აქ 600 კომლამდე მცხოვრებნი ითვლებიან, ნახევარ ნაწილი ისრაელთ გვარია, შემდეგ სომეხი და ოთხმოციოდე კომლი ქართველები; შენობები მომეტებული ნაწილი ხისა და ქვითკირისაა ყავრით ნახური; ბევრი კარგი ორ ეტაჟიანი სახლებია ლიახვზე გადაკიდებულ ბალკონებით. ქუჩები ძრიელ ვიწრო, მრუდე და უსუფთაოა, ერთის სიტყვით ძრიელ ვიწროთ სდგანან, თითქმის ზედაზედ ასხედან, ხეირიანი ეზო არავის არა აქვს, ასე გაშინჯეთ სომხების მშვენიერი არხიტექტურის ეკლესია ისენაირად ჩამალულია სახლებში, რომ მიდგმა არა აქვს. საზოგადოთ აქ მამულს ძალიან ძვირს ამბობენ. ეს ხალხი ევროპიულად რომ იყოს დაშენებული, მართლა რო შნოიან ქალაქს წარმოგვიდგენდა.

ვაჭრობა სურამზე აქ უმჯობესად მიდის, აქ ყოველთვის იშოვება ადგილობრივი ნაწარმოები: ოსური საგანგებო ყველი და ერბო. ამ ქალაქში გამუდმებით პოლიციის პრისტავი ცხოვრებს, რომელსაც აბარია ამისივე უჩასტკაც. აგრეთვე გორის მომრიგებელი მოსამართლე ხშირად დაიარება აქ საქმეების გასარჩევათ.

აქაურ სომხებს ბევრს პროტესტანტობა მიუღიათ და ცოლებიც ამავე რჯულისა ჰყავთ. სომხებში ძნელად იპოვით სამშობლო ენის მცოდნეს, საზოგადოთ აქ ქართული ენა იხმარება, ბევრი ოსურსაც კარგა ლაპარაკობს, მომეტებული ნაწილი სომხებისა თავიანთ ტომს ჰკიცხამენ და ეჯავრებათ: სიმართლე არ გვიყვარსო, ცოტა რამ თანამდებობის მქონე ვამპარტავნობთ და ძალაზე ვიბღინძებითო და სხვა. აქაური არისტოკრატია გაცხარებულ ლოტოსა და კარტის თამაშობაში არიან გართულნი, მაგრამ ქალები თურმე მშვენივრად ლექსების მღერაში ატარებენ დროს. აგრეთვე თფილისიდგანაც საზაფხულოდ ბევრი სახლობა მოსულა აქაური გრილი ჰაერის და წვრილი ბუზების საყლაპავათ. საზოგადოება იმედიანეულობს თავის დროზე აქ უეზდიც გაიხსნას, და უფრო კი იმის მოსიხარულნი არიან, რომ მომავალი რკინის გზის სტანცია აქ იქნებაო. ამ რკინის გზის პროექტი კარგა ხანია დამტკიცებულია, ეს გზა გორის სტანციიდგან იწყობა, მტკვარზედ ხიდი გაიდეის და შემდეგ ლიახვის მარჯვნივ მიდის, სოფ. ვარიანშიაც სტანცია იქნებაო და ამ სოფელს ზევით რომელსამე ალაგას ლიახვზე ხიდი გაიდება და გზა ლიახვის მარცხნივ მოექცევა, ცხინვალს სტანცია გამოღმა მოუვა და აქედგან გზა სულ მარცხნივ მიდის და შესდევს ჯავაზე, ღვწეზე, ქოშკაზე და სხვ. რასაკვირველია ლიახვზე ბევრგან ხიდები დასჭირდება, სხვაფრივ კი სულ ვაკეა, მაგრამ ალაგ და ალაგს ისეთნაირ კლდეებს და უშველებელ ხევებს და გორებს ნახამთ ნიაღვრისაგან ჩამოტანილს, რო უნებლიედ შეგაფიქრებსთ: ნეტა აქ რაღას მოუხერხებენო! მგზავრი ეხლავე შენიშნამს ამ რკინის გზის ინჟინერებისაგან აქა-იქ დარჭობილ სარებს და ქვებზე ზოგან-და-ზოგან წითელ ფერ ნომრების ნაწერს.

ქოშკას ზევით ეს გზა დასავლეთისკენ ჯომალის ხეობაში შეუხვევს და ამ ხეობის შემდეგ ტონელს გაიყვანენ და ზედ იმ ალაგას გაახედებენ, სადაც ვერცხლის და ტყვიის ზავოდია სოფ. ს.დონაში ვლადიკავკაზის ოკრუგში, და აქედგან ვლადიკავკაზის სტანციას შეუერთდება. ამ გვარად ჩვენი თფილისი რუსეთს ხმელეთითაც შეუერთდება და მაშინ უყურეთ ჩვენი

---

შენიშვნა ძრიელ საჭირო იყო მხედველობაში მიეღო უფ. გოგებაშვილს, როგორც ერთად-ერთს ბეჯითს მოღვაწეს ჩვენი ახალთ-ახალი მოზარდე ყმაწვილებისათვის, რომ ამათ თავიანთ დედა ენაზე პირველ დაწყებითი სწავლის მიღება არ გასჭირებოდათ. მაგრამ მის მაგიერ, რომ მას ყურადღება მიექცია ამ შენიშვნაზე, ის ეხლა, ამ „პირველ საკითხავ წიგნში“, უფრო მეტს შვრება: არამც თუ პირუტყვთ, არამედ უსულო და უმოძრავო საგნებსაც იმისანა თვისებებს აწერს, რომელნიც არაფელს არ ჰგავს.

მის მაგიერ, რომ ნორჩი ბავშვის ჭკუა-გონება და მოსაზრება ყველაფერს ნამდვილს გაიცნოს და დაახლოვოს, რომ ცხოველი-ცხოველათ დაინახოს, უსულო და უმოძრაო—უსულოთ და უმოძრავოდ, მცენარემცენარედ და სხვა, ამის მაგიერ ის ქოთანს, მახათს, ყვავილებს ალაპარაკებს; ქოთანი ნამუსშიაც შეჰყავს, არცხვენს მკვეხრობისათვის; ჩიტებს ხომ დედის ამბავი მოაქვთ, მელია ხარობს და იცინის, დათვიც სიზმარშია და სხვა ამგვ.—ამ სითამამეს უფ. გოგებაშვილი იქამდისინ მიუყვანია, რომ ეს „პირველი საკითხავი წიგნი“ ბასნებით (იგავებით) და სხვა ამ გვარებით აუვსია, რომელნიც ზოგი ეზოპოსისაგან და ზოგი კრილოვიდამ უსესხებია.

უ. გოგებაშვილს უსწავლია, უკითხავს, გაუგონია და კიდევ უკეთესი, გამოუცდია უთუოთ, რომ მცირეწლოვან ყმაწვილს, რაც უფრო ახლოვებ ბუნებასთან და მის ქმნილებასთან, ის უფრო ჯეროვანს ზედმოქმედებას შვრები მაზე, ის უფროულვიძებ დაუმაგრებ მას ტვინის ძაფებს, უმახვილებ ჭკუა-გონებას და მოსაზრებას. ამაში დიდი ხანია დარწმუნებულნი არიან ამ დროის საუკეთესო პედაგოგები-მასწავლებლები და დიდი ხანია იმათ უარიც ჰყვეს იმას, რასაც დღეს უფ. გოგებაშვილი თავის წიგნით გვიქადაგებს.. ამათ დიდი ხანია გამორიცხეს თავიანთ სახელმძღვანელოებიდამ იგავნი და სხვა ამ გვარები.

საკვირველია, რათ გამოჰკიდებია უ. გოგებაშვილი იმ პედაგოგების საქციელს, რომელნიც თავიანთ სახელმძღვანელოებს ამ გვარი იგავ-არაკებით ავსებენ? რატომ არ შეიძლებოდა, მაგალითად, იმ სტატიაში, სადაც რომელიმე ცხოველ-პირუტყვზეა ლაპარაკი, ამაზე ბავშვებისთვის მარტოთ-მარტო ზოოლოგიური ცნობები იმანაირათ შეემკო და განემარტა, რომ მათი წაკითხვა სასიამოვნო და სასარგებლო ყოფილიყო და ადვილი გასაგებიც? განა არ შეიძლებოდა, რომ მცენარეებზედაც ამ გვარივე სტატიები შეედგინა უ. გოგებაშვილს?

—

ორიოდე სიტყვა წიგნის გარეგან შეხედულებაზედაც ვსთქვათ.

ლამაზი გამოცემაა და იაფიცა. კორექტურული შეცდომები შიგ თითქმის სრულიათ არ არის. საყმაწვილო წიგნისათვის ეს თვისება, შეცთომების ნაკლოულევანება, ერთს უპირატესს საჭიროებას შეადგენს. უ. გოგებაშვილის წიგნი, რ. ისარლოვის წიგნის შემდეგ, პირველია ჩვენს ენაზე, მგონი, სურათებით გამოცემული. ესეც ერთი აუცილებელი საჭიროება ყველა საყმაწვილო წიგნისა, თუმცა „დედა ენისათვის“ ვისურვებთ კია სურათების გაუმჯობესობას და მათს მომეტებულს რიცხვს.-ზოგი სურათები შიგ ისედაც არ იყვნენ კარგი და ბეჭდვაში კიდევ სულ უვარგისნი გამოსულინ, მაგ. თევზის სურათი (64 გვ.) არწივისა, ბუს (56-57) და სხვა.

დასასრულს-მადლობა ვუძღვნათ უფ. გოგებაშვილს, რომ „ამდენს კეთილს მოსურნე ჩვენებურ ახალგაზდებში“ მარტო ის ერთი გამოგვჩენია, რომელიც, მართლა რომ გულდასმით და უყვირლათ შრომობს იმ საქმისათვის, რომლისთვისაც ის, ეტყობა, სულითა და გულით მონდომილია.

*

10 ნოემბერს.

ქალების პეტრეს ქალაქში სიარულს.

ეჭვი არ უნდა რომ ეს გზა ძრიელ დიდ სარგებლობას მოგვიტანს, მაგრამ ოსებიც კი ამ შემთხვევით სულს მოიდგამენ: რამდენიმე წლის განმავალობაში, რასაკვირველია, მუშა უკლებლივ უნდა და ეს უსაქმო ხალხი მაშინ კი მგონი დაანებებს თავს ავაზაკობას და უფრო სვინიდისიან ოფლ ით ლუკმა—პურს შესჭამენ. ასე რო დიდი ლიახვის ხეობის ოსები თუ ხერხიანათ მოიქცნენ, კარგ ფულს შეიძენენ. ისიც წარმოვიდგინოთ, რომ რაც რელსების დასაწყობათ და სხვა საჭიროებისთვის ხე-ტყე მოუნდებათ, და რაც შემდეგში ყოველ წლობით შეშა, ამისი ფული სულ ამათ ხელში ჩაცვივა; მეტადრე იმ ოსებს უხაროდეთ, ვინც საბატონო მამულზე დგანან, როგორათაც სამაჩაბლო, საერისთო და სხვა თავადიშვილების მამულში, რომელნიც მხოლოდ მეათედს იხდიან თურმე ე. ი. ათ საქენ შეშაში ერთი მებატონესია, და სხვა ფრივ თავისუფლად სარგებლობენ. (ამ მთაში როგორც შევიტყე მაჩაბლებს წელიწადში ხუთასი თუმანი აქვსთ დანიშნული მთავრობიდგან პენსია). შემდეგ მაც რაც სტანციებში მოსამსახურე და მუშები დასჭირდება, რასაკვირველია, ამითიც ისარგებლებენ, ამასთანავე თავიანთ ნაწარმოებს: ერბოს, ყველს, შალებს და სხვ. თვითონვე გაასაღებენ სადაც ალაგია მაგ. ვლადიკავკასში, თფილისში, გორში და სხვა ალაგებში, და მატყუარ ვაჭრების ხელში ნახევარ ფასად აღარ ჩაცვივა. ერთი სიტყვით თქვენ ნახამთ თუ ამ გარემოებით ის ხალხი განათლების წყაროსაც ჩვენ ქართველ ხალხზე უფრო ადრე არ დაეწაფნენ.

ი. ალხაზაშვილი

(შემდეგი იქნება)

# უცხო ქვეყნები

**ომის ამბავი.** ერთს რუსულ გაზეთში იწერებიან, რომ ბერლინში ყოფნის დროს ინგლისის წარმომადგენელი სტამბოლის კონფერენციაზე მარკიზი სალსბიური ცდილობდა, რომ გერმანია ინგლისისკენ მიემხრო და რუსეთს მოეშორებინა. მაგრამ ყველა იმის მეცადინეობამ სულ მუქთად ჩაიარა, რადგან იმპერატორმა ვილჰელმმა და თ. ბისმარკმა პირ-და-პირ გამოუცხადესო, რომ ინგლისს ტყუილ-უბრალოთ გერმანიის იმედი ნუ ექნებაო, ამ აღმოსავლეთის კითხვის გადაწყვეტაში მხოლოთ რუსეთთან ერთად და თანხმობით ვიმოქმედებთო.

— მეორე რუსულსავე გაზეთში მოყვანილია რუსეთის მოქმედი ჯარის რიცხვი; ამ გაზეთის სიტყვით დუნაის არმიის რიცხვი არის 150,000 კაცი 448 ზარბაზნითა და კავკასიის არმიაში ითვლება — 70,000 კაცი 200 ზარბაზნით.

# განცხადებანი


ნიკოლაოზ დიმიტრის ძე

## ყიფიანი

ამ ჟამად ქ. ქუთაისში დაბინავებული, მიიღებს თფილისის სამოსამართლო პალატისა და ქუთაისის ოლქის სასამართლოის მოწმობაების ძალით და აწარმოებს სამოქალაქოსა, სისხლის სამართლის და სამიჯნავო საქმეებსა როგორათაც ხსენებულს სასამართლოებში, აგრეთვე მომრიგებელ მოსამართლეებთან ქუთაისის გუბერნიისა, რისთვისაც თანახმა არის თფილისში და ქუთაისის გუბერნიის უეზდებში მისვლა-მოსვლაზედ საქმეების დასაცველად.

აგრეთვე მიიღებს მსვლელობას ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში მამულების დასაგირავებლად.

მიიღებს მოდავეებს დილით 11 საათამდინ, საღამოზედ 5 საათიდან 8 საათამდინ.

ქ. ქუთაისს, თფილისის ქუჩაზედ, ქურთოშვილის სახლებში, პროგიმნაზიის პირ-და-პირ.

(10—8)

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილო), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფ ა ი — გ ა მ ო მ გ ო ნ ი

—

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—81

### კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და ყმაწვილების.

ქალის ავათმყოფობისთვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-მდინ — დოქტორი ანანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ — დოქტორი რემერტი.

სამშაბათობითა და შაბათობით 11-დამ 12-მდინ — დოქტორი ალბანუსი.

საყმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი — დოქტორი უშაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორების: რემერტის, ალბანუსის და ანანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში — 50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში — 1 მან.

### თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, ჩიტახოვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ზარალევიჩი და ლისიცივი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი — თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცვი — შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცივი და ა...როვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის დ... კევიჩი — ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკარ... შინაგანი ავათმყოფი. ქიუჩარიანცი — ... და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის დ... მამშევი — თვალის ავათმყოფობისა.

### ბიბლიოგრაფიული განცხადება

**ბუნების კარი ი. გოგებაშვილისა**, მესამე შევსებული გამოცემა, სურათებით და საქართველოს კარტით ბეჭდვიდგან გამოვიდა და ისყიდება სოლომონ ვართანოვის წიგნების მაღაზიაში. წიგნი წინეთ გამოცემაებზედ მეტია ექვსი ბეჭდვის თაბახით და ღირს თხუთმეტი შაური, მაგრამ ეგზემპლიარი დაეთმობა: თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ ნაღდ ფულზედ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა,— ცამეტ შაურათ, ვინც იყიდის ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ, ვინც წაიღებს ას ეგზემპლიარსა.

აქვე ისყიდება **დედა ენა**, მისგანვე შედგენილი, ექვს შაურათა. ეს წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ სასწავლებლებს, როცა ერთათ ნაღდ ფულზედ იყიდიან ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და კერძო პირებს, როცა ერთათ წაიღებენ ას ეგზემპლიარსა.

ვისაც სურს ან ერთი, ან მეორე წიგნი ყდაში გადაკრული მიიღოს, უნდა ეგზემპლიარის ფასს დაუმატოს სამი შაური.

კვ. (5—5)

დაიბეჭდა და ისყიდება

### თამარ საქართველოს ბატონიშვილი

ისტორიული რომანი

გ. რ ჩ ე უ ლ ო ვ ი ს ა.

**თფილისში:** მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და ენფიაჯიანცის წიგნის მაღაზიაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

### ისყიდება

ვართანოვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდზე პ. უმიკაშვილის გამოცემანი:

## გრიგოლ ორბელიანის ლექსები.

ფასი ათი შაური


| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა . . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| შორაპანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| შორაპანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ — ხუთშაბათს დილით.

სტამბოლს — კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ — ხუთშაბ., ნასად. 3საათ.

სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 14 ნოემბ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $303^1/_2$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 93 | 25 |
| მოგებიანი (პირველი სესხი) | 173 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 171 | — |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. საიზნ. ბანკისა. | — | -- |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 80 | 25 |
| მოსკოვის (5%). . . | 81 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 155 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | -- | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 480 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 206 | — |
| პირვ. სახლევ. საზოგ. | 725 | 50 |
| პეტერბ. სახლევ. საზ. | 240 | 50 |
| მოსკოვის სახლევ. საზ. | 170 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 20 ნოემბ. | | |
| პური შოტაგალის ფთ. | 1 | 20 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 80 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 20 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 5 | 60 |
| გაპენტილი ბამბა ფუ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | — |
| — თარაქამისა ფთ. . | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 45 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 50 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 20 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 30 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 5 | 90 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 19 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუ. | 6 | 20 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 6 | 70 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Ноября 1876 г. Типографія Меликова и Kº. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.